



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 9 21 0001116705



20/10/2021

**„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №628/ი ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის
გასწორების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 15 ოქტომბრის №1089961 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“ მე-9 მუხლის მე-5 და მე-11 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №628/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სოფლის მეურნეობა“:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი №1-ის პირველი ნაწილის სათაური - „მესამე საფეხური“ ჩანაცვლდეს ფორმულირებით: „საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის“; ცხრილის ამავე ნაწილში ფორმულირება - „ზოგადი სავალდებულო მოდულები მესამე საფეხური“, ჩანაცვლდეს ფორმულირებით: „ზოგადი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის“; ფორმულირება - „უცხო ენა“ ჩანაცვლეს ფორმულირებით „უცხოური ენა“ (ცხრილის ორივე ნაწილში); ცხრილის პირველ ნაწილში უცხოურ ენაში

კრედიტების რაოდენობა ნაცვლად „5“-სა ფორმულირდეს „4“-ით (ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებულია უცხოური ენის ზოგადი მოდულები: დანართი №98 - უცხოური ენა (სარეგისტრაციო ნომერი - 0230101, კრედიტების მოცულობა - 4, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების მესამე საფეხური), დანართი №99 - უცხოური ენა (სარეგისტრაციო ნომერი - 0230102, კრედიტების მოცულობა - 5, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების მეოთხე და მეხუთე საფეხური)).

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის: "სტრუქტურა და მოდულების", "ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების" და "კვალიფიკაციის მინიჭების" ნაწილები შესაბამისობაში მოვიდეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ასახულ მონაცემებთან (ტერმინოლოგია/კრედიტების რაოდენობა).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის N628/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „სოფლის მეურნეობა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - „სოფლის მეურნეობა“ ძალაში შევიდეს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღეს.

4. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურთან კოორდინაციით ამ ბრძანებისა და მისი დანართის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

5. დაევალოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თარიღის შესაბამის ველში ამ ბრძანების გამოცემის/ძალაში შესვლის თარიღის მითითება და ამ სახით ბრძანების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.

6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

